ტელევიზიების საინფორმაციო პოლიტიკის მონიტორინგი

კვლევის ავტორი: დავით აფრასიძე
პერიოდი: 1-30 აპრილი, 2011

შესავალი

საქართველოში ინფორმაციის ძირითადი წყარო ტელევიზიებია. ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომ წამყვანი ეროვნული ტელევიზიები უფრო ლოიალური არიან ხელისუფლების მიმართ, ხოლო ისეთი არხები, როგორიცაა კავკასია და მაესტრო - ოპოზიციის მიმართ.[1]

კვლევის მიზანია, შეადაროს ერთმანეთს ხუთი სატელევიზიო არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები გაშუქებული თემატიკის მიხედვით. კვლევა ეყრდნობა სამუშაო ჰიპოთეზას, რომ თემატური თანხვედრა უფრო მოსალოდნელია, ერთი მხრივ, სამ ეროვნულ არხს (საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი) და, მეორე მხრივ, კავკასიასა და მაესტროს შორის.

კვლევა არ ისახავს მიზნად, ახსნას აღმოჩენილი მსგავსებები და/ან განსხვავებები, რადგან შესაძლო მიზეზები შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს და ამ მიზეზების დადგენა უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. ამგვარი კვლევის დროს უნდა გაანალიზდეს საინფორმაციო საშუალებების მიერ არა მხოლოდ ამა თუ იმ თემის გაშუქება-არგაშუქების ფაქტი, არამედ გაშუქების ასპექტები და ტონალობა.

კვლევის მეთოდოლოგია

2011 წლის 1-დან 30 აპრილის ჩათვლით ჩაიწერა ხუთი სატელევიზიო არხის (საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, კავკასია, მაესტრო) მთავარი საინფორმაციო გამოშვებები (მოამბე 20:00, ქრონიკა 20:00, დღეს 20:30, კურიერი 21:00, ახალი ამბები 21:00). დაკვირვებისთვის შერჩეული იყო აპრილის თვე, რადგან ამ დროს არ მიმდინარეობდა პოლიტიკურად თუ სხვაგვარად არაორდინარული ისეთი მოვლენები, რაც გაზომვის შედეგებზე მოახდენდა გავლენას.

[1] იხ. მაგალითად United Nations Development Programme, *Media Monitoring of the Election Campaign: Final Report*, 12 July, 2010, http://www.undp.org.ge/files/24_975_639258_MM-CRRC-report-201007.pdf. (accessed June 6, 2011); CRRC, *Georgia Comprehensive Media Research: Summary Findings, August–November, 2009*, http://www.epfound.ge/files/geo_media_research_report_en.pdf (accessed June 6, 2011).

არხების საინფორმაციო გამოშვებების შედარებები მოხდა თემატური ბადეების (ე.წ. ”ვიორსტკების”) მიხედვით. ამასთან, შედარებების დროს გამოტოვებულია შაბათ-კვირა, რადგან ამ დღეების საინფორმაციო ფორმატი სხვადასხვა ტელევიზიებში არაა თანაზომადი. ასევე, კავკასიისა და მაესტროს, კავკასიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებების შედარების დროს გამოტოვებულია 25 აპრილი (შობის შემდგომი ორშაბათი), რადგან კავკასიის საინფორმაციო გამოშვება ამ დღეს ძალიან მოკლე იყო და არ იძლეოდა თანასწორი შედარების საშუალებას.

ასევე, დათვლის დროს გამოტოვებულია ამინდი, იმავე ტელეარხის გადაცემების ანონსი საინფორმაციო გადაცემაში, სპორტი (თუ საქმე არ ეხება სპორტის სფეროში რაიმე პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ მოვლენას და გაშუქებულია მხოლოდ სპორტული მოვლენა). როცა ერთი მოვლენა გაშუქდა სხვადასხვა ფორმატში (სიუჟეტი, ჩართვა, კომენტარი და ა.შ.), ეს ჩაითვალა, როგორც ერთი თემა.

ანალიზის დროს, შედარების შედეგების მრავალფეროვნების მიზნით, დათვლილია საინფორმაციო გადაცემიების მიერ გაშუქებული თემები უცხოეთის საკითხების ჩათვლით და ჩაუთვლელად, ანუ მხოლოდ ნაციონალური თემატიკით. ამასთან, ის თემა რომელიც ვითარდებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ შეხება ჰქონდა საქართველოსთან, მიჩნეულია ნაციონალურ თემატიკად.

შედარებისთვის შედგა სამი ჯგუფი: ჯგუფი I (მოამბე, კურიერი, ქრონიკა); ჯგუფი II (დღეს, ახალი ამბები) და საკონტროლო ჯგუფი III (მოამბე, კავკასია). რაოდენობრივი გაზომვის გარდა, უფრო დეტალურად გაანალიზდა სამი დღის საინფორმაციო ბადეები, რათა გვენახა თუ რა თემებს აშუქებდნენ მაუწყებლები, როცა იყო დამთხვევები და/ან განსხვავაბები ყველაზე გადახრილი საშუალო მაჩვენებლისაგან (ჯგუფების მიხედვით).

ჯგუფი I: მოამბე, კურიერი, ქრონიკა

შესასწავლ პერიოდში მოამბე გამოირჩეოდა ყველაზე მეტი თემის გაშუქებით, როგორც ჯგუფში, ისე მთლიანად. საშუალოდ, მოამბემ გააშუქა 20 თემა დღეში, აქედან საშუალოდ დღეში 14 თემა მიუძღვნა ნაციონალურ მოვლენებს.



კურიერის შემთხვევაში, გაშუქებული თემების საშუალო მაჩვენებელი იყო დღეში 14 თემა მთლიანად და 11 თემა ნაციონალურ თემატიკაზე.



გაშუქებული თემების მიხედვით, ამ ჯგუფში მესამე ადგილზე იყო იმედის საინფორმაციო გამოშვება ქრონიკა. ქრონიკამ დღეში საშუალოდ 13 თემა გააშუქა, აქედან 10 ნაციონალურ საკითხებს მიეძღვნა.



შედარების მხრივ, საინტერესოა დავთვალოთ გადაფარვების რაოდენობა არხებზე დღეების მიხედვით ასევე გამოვიყვანოთ გადაფარვების საშუალო კოეფიციენტი (პროცენტი). საშუალო კოეფიციენტი გამოითვლება სამივე არხის მიერ გაშუქებული თემების ხვედრითი წილით ამა თუ იმ არხის მიერ გაშუქებულ თემებში. კოეფიციენტი დათვლილია ცალ-ცალკე უცხოეთის ამბების ჩათვლით და მის გარეშე (მხოლოდ ნაციონალური თემატიკა).



აღნიშნული გრაფიკზე იკვეთება, რომ გადაფარვების დინამიკა (ანუ როდის არის დამთხვევა დიდი და მცირე) მეტნაკლებად მსგავსია სამივე არხზე. შესაბამისი ანალიზის შემთხვევაში კი ჩანს, რომ კორელაცია უფრო მეტია კურიერისა და ქრონიკის შემთხვევაში. დამთხვევების დინამიკა შეიძლება განპირობებული იყოს ერთ კონკრეტულ დღეს მომხდარი მნიშვნელოვანი თემების რაოდენობის გაზრდით.



დამთხვევების კოეფიციენტი აჩვენებს, რომ, ზოგადად, მოამბის მიერ გაშუქებული ყველა თემის საშუალოდ 20 პროცენტი იყო გაშუქებული სხვა ტელევიზიების მიერ. ეს მაჩვენებელი 23 პროცენტამდე იზრდება თუ საქმე მხოლოდ ნაციონალურ თემატიკას ეხება. მაჩვენებელები იზრდება კურიერისა და ქრონიკის შემთხვევაში - ორივე არხთან მიმართებაში ეს მაჩვენებელია 30 და 33 პროცენტი (მთლიანი და ნაციონალური თემატიკა).

დამთხვევების ეს კოეფიციენტი არ გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ რომ ამ არხების საინფორმაციო პოლიტიკა იდენტურია. ამასთან, საგულისხმოა, რომ დამთხვევების მაჩვენებელი ოდნავ უფრო დიდია ნაციონალურ თემატიკასთან მიმართებით. მოამბის შემთხვევაში დამთხვევების უფრო დაბალი მაჩვენებელი განპირობებული უნდა იყოს იმ ფაქტით, რომ საზოგადოებრივი მაჩვენებელი, ზოგადად, უფრო მეტი თემას განიხილავს საინფორმაციო გამოშვებაში.

ჯგუფი II: ახალი ამბები, დღეს

შესასწავლ პერიოდში და შესასწავლ ჯგუფში "ახალი ამბები" გამოირჩეოდა ყველაზე მეტი თემის გაშუქებით. საშუალოდ, მაესტროს მთავარმა საინფორმაციო გამოშვებამ გააშუქა 14 თემა დღეში, აქედან საშუალოდ დღეში 11 თემა მიუძღვნა ნაციონალურ მოვლენებს.



”დღეს” შემთხვევაში, გაშუქებული თემების საშუალო მაჩვენებელი იყო დღეში 11 თემა მთლიანად და 10 თემა ნაციონალურ თემატიკაზე.



შედარების მხრივ, ამ ჯგუფშიც საინტერესოა დავთვალოთ გადაფარვების რაოდენობა არხებზე დღეების მიხედვით და ასევე, გამოვიყვანოთ გადაფარვების საშუალო კოეფიციენტი. საშუალო კოეფიციენტი გამოითვლება ორივე არხის მიერ გაშუქებული თემების ხვედრითი წილით ერთ-ერთი არხის მიერ გაშუქებულ თემებში. კოეფიციენტი დათვლილია ცალ-ცალკე უცხოეთის ამბების ჩათვლით და მის გარეშე (მხოლოდ ნაციონალური თემატიკა).



ზედა გრაფიკზე (ისევე როგორც პირველი ჯგუფის შემთხვევაში) იკვეთება, რომ მსგავსი თემების დინამიკა (ანუ როდის არის დამთხვევა დიდი და როდის მცირე) მეტნაკლებად მსგავსია.

დამთხვევების კოეფიციენტი აჩვენებს, რომ, ზოგადად, "დღეს" მიერ გაშუქებული ყველა თემის საშუალოდ 26 პროცენტი იყო გაშუქებული "ახალი ამბების" მიერ, ხოლო "ახალი ამბების" მიერ გაშუქებული თემების საშუალოდ 21 პროცენტი გაშუქებული იყო "დღეს" მიერ. ეს მაჩვენებელი ოდნავ იკლებს "დღეს" შემთხვევაში (25 პროცენტი) და იმატებს "ახალი ამბების" შემთხვევაში (24 პროცენტი), როცა საქმე მხოლოდ ნაციონალურ თემატიკას ეხება.



დამთხვევების ეს კოეფიციენტი არ გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ რომ ამ არხების საინფორმაციო პოლიტიკა იდენტურია (ისევე როგორც, პირველი ჯგუფის შემთხვევაში). ამასთან, საგულისხმოა, რომ საინფორმაციო გამოშვებები "დღე" და "ახალი ამბები" ხშირად იმეორებდნენ ერთმანეთის თემებს მომდევნო დღეს. ეს დამთხვევა, ცხადია, ასახული არ არის ამ ანალიზში.

ჯგუფი 3: მოამბე, კავკასია

მესამე ჯგუფში ერთმანეთს შეუდარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოშვება "მოამბე" და კავკასიის საინფორმაციო გამოშვება "დღეს". აქაც, საშუალო კოეფიციენტი გამოითვლება ორივე არხის მიერ გაშუქებული თემების ხვედრითი წილით ერთ-ერთი არხის მიერ გაშუქებულ თემებში. კოეფიციენტი დათვლილია ცალ-ცალკე უცხოეთის ამბების ჩათვლით და მის გარეშე (მხოლოდ ნაციონალური თემატიკა).



აღნიშნულ გრაფიკზე (ისევე როგორც წინა ჯგუფის შემთხვევაში) იკვეთება, რომ მსგავსი თემების დინამიკა (ანუ როდის არის დამთხვევა დიდი და როდის მცირე) მეტნაკლებად მსგავსია, თუმცა მაჩვენებლებზე გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ დამთხვევების ზოგადი დიაპაზონი უფრო ნაკლებია (45-ს არ აღემატება "დღეს", ხოლო 25-ს "მოამბეს" შემმთხვევაში)



დამთხვევების კოეფიციენტი აჩვენებს, რომ, ზოგადად, ”მოამბეს” მიერ გაშუქებული ყველა თემის საშუალოდ 12 პროცენტი გაშუქებული იყო ”დღეს” მიერ, ხოლო ”დღეს” მიერ გაშუქებული თემებში 22 პროცენტი იყო ისეთი, რომელსაც ”მოამბეც” აშუქებდა. ეს მაჩვენებლები შეადგენდა შესაბამისად 11 პროცენტს ”მოამბესთვის” და 16 პროცენტს ”დღესთვის”, როცა საქმე ნაციონალურ თემატიკას ეხებოდა. აქ საყურადღებოა, რომ დამთხვევების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირდება ნაციონალურ თემატიკასთან მიმართებაში.”მოამბეს” შედარებით დაბალი მაჩვენებელი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ”მოამბე” საშუალოდ ორჯერ მეტ თემას ფარავდა განსახილველ პერიოდში (საშუალოდ 20 თემა დღეში ”მოამბე” და 11 თემა დღეში საინფორმაციო გამოშვება ”დღეს”).

გაშუქებული თემების ანალიზი ცალკეული დღეების მიხედვით

დამატებით გაანალიზდა 1 აპრილის საინფორმაციო გამოშვებები, სადაც დამთხვევა აღწევდა მაქსიმალურ მაჩვენებელს პირველ ჯგუფში (ჯგუფის საშუალო 60 პროცენტი). იმავე დღისთვის, მე-2 ჯგუფში დამთხვევამ შეადგინა 24 პროცენტი, ხოლო მე-3 ჯგუფში 14 პროცენტი. ასევე გაანალიზდა 18 აპრილის საინფორმაციო გამოშვებები, სადაც, ამჯერად, ყველაზე დიდი იყო საშუალო დამთხვევა მეორე ჯგუფში - 42 პროცენტი. იმავე დღისთვის, პირველ ჯგუფში დამთხვევამ შეადგინა 40 პროცენტი, ხოლო მე-3 ჯგუფში დამთხვევა იყო 19 პროცენტი; და ბოლოს, გაანალიზდა 19 აპრილი, როცა მე-3 ჯგუფში დამთხვევა იყო 7 პროცენტი (აბსოლუტურ მაჩვენებლებში მხოლოდ ერთი თემა). იმავე დღეს, პირველ ჯგუფში დამთხვევა იყო ასევე საშუალოზე საკმაოდ დაბალი - 13, ხოლო მეორე ჯგუფში - 14.

1 აპრილი

	გაშუქებული თემა	მოამბე	კურიერი	ქრონიკა	დღეს	ახალი ამბები
1.	ებრაელი ბიზნესმენების საქმე					
2.	ჰააგის სასამართლო (რუსეთი-საქართველო)					
3.	ოპოზიციური რვიანის კონსულტაციები					
4.	იმიტირებული განაღმვითი ოპერაცია ბარნოვზე					
5.	საქ. რკინიგზა და ბიუჯეტი					
6.	საბიუჯეტო ცვლილებები					
7.	ხიდაშელი ბაღის აღდგენაზე					
8.	რაკ ჯორჯია ფოთის პორტი					
9.	მოძრაობა თავისუფალი საქართველოს ინიციატივა					
10.	უსინათლოთა კავშირის წევრების აქცია					
11.	42-ე მუხლის აქცია					
12.	მუხაშავრია სასამართლო ხელისუფლებაზე					
13.	ლეიბორისტების ინიციატივა					
14.	ბიზნეს-ომბუცმენი უცხოელ ბიზნესმენებთან					
15.	ტერაქტი ქუთაისში					
16.	მკვლელობა თურქეთში/ქართველი ბრალდებულები					
17.	მოსალოდნელი უამინდობა საქ-ში					
18.	სტინგი ბათუმში					
19.	უშიშ. საბჭოს გაზრდილი უფლებები					
20.	იაპონიიდან იმპორტირეული საქონელი					
21.	მოძრაობა ”არას” აქცია					
22.	ოდიშვილის აქცია ”მიშა მაგარია”					
23.	სტუდია ”მონიტორი” ფილმის ჩვენება					

24.	მედვედევ-პუტინის დაპირისპირება					
25.	საწვავის ფასები აშშ-ში					
26.	ვითარება ლიბიაში					
27.	ტერაქტი ავღანეთში					
28.	აქცია სირიაში					
29.	ვითარება იემენში					
30.	რადიაცია იაპონიაში					
31.	გაფიცვა იტალიაში					
32.	ვითარება კოტ-დივუარში					
33.	კაჩინსკის დაღუპვის მიზეზების შესახებ					
34.	წყალდიდობა ტაილანდში					
35.	უგულავა სტამბოლში					
36.	გაუჩინარებული მოზარდი					
37.	მაღაროელების დაზღვევა					
38.	სკოლის დირექტორების საატესტაციო გამოცდები					
39.	სიდამო-ერისთავის უცნობი ნახატი					
40.	საკაშვილი ქართულ ფეხბურთზე					
41.	გუჯა ბურდულის იუბილე					
42.	ქართული მოდის კვირეული					
43.	რობი უილიამი					
44.	ვუდი ალენი-კარლა ბრუნი					
45.	დიკაპრიოს შეყვარებული					
46.	ახალი მხატვრული ფილმი ფესტივალზე					

18 აპრილი

	გაშუქებული თემა	მოამზე	კურიერი	ქრონიკა	დღეს	ახალი ამბები
1.	საკონსტ. სასამართლო და მანიფესტაციების კანონი					
2.	ალასანია და პოლიტიკური განცხადებები					
3.	ამერიკელი სენატორები საქ-ში					
4.	თავისუფალი დემოკრატები საგარეო ვალზე					
5.	გ. ცაგარეიშვილი საჯარო დაწესებ. და პარლამენტზე					
6.	მერაბიშვილის შეხვედრა რუს კოლეგასთან/გუგავა					
7.	სახალხო კრება მაღალჩინოსნების კორუფციაზე					
8.	მაუწყებლობის პრიორიტეტების დამტკიცება					
9.	რამიშვილი და სილქ-ტივი					
10.	ახალი მემარჯვენეები ძვ. თბილისში მშენებლობაზე					
11.	ძვ. თბილისის პროექტი/უგულავა					
12.	ქდმ ზარია ვოსტოკას შენობაზე					
13.	საგ. საქმეთა სამინისტრო ებრაელი ბიზნესმენის აფხაზეთში ვიზიტზე					
14.	მირონის ხარშვა დაიწყო					
15.	ილია მეორემ ებრაელი ბიზნესმენები მოინახულა					
16.	გაზ. ვერსია ვარშალომიძის კლანზე აჭარაში					
17.	ქართული პარტია და სახალხო კრება/დუელი					
18.	მიწების გაყიდვა სოფ. ზევდდულეთში ინდოელებზე					
19.	გ. კოდუა: საავიაციო სტრატეგიის კრიტიკა					
20.	სტუდენტური მოძრაობი აქცია თსუ-ში					
21.	რუსეთი და ოპოზიცია					
22.	კორუფციის მაჩვენებელმა საქ-ში დაიწია					
23.	"ზესტაფონის" და ფეხბურთელი ჭანტურიას დავა					
24.	მარნეულში ტრაგედია მოხდა					
25.	თურქეთში მკვლელობის ქართ. მონაწილე დააკავეს					
26.	პრობაციის სისტემის სიახლეები					
27.	საკაშვილი განათლების სისტემაზე ტირძნისში					
28.	მასწ. ახალი სტანდარტი					
29.	სათაფლიის ნაკრძალი ახალ სეზონზე					

30.	ჰამერბერგი საქ-ში					
31.	ფიროსმანის დაკარგული ტილო					
32.	პუტინი თუ მედვედევი					
33.	ვოკალისტთა კონკურსი					
34.	ფილმი ზვიად გამსახურდიაზე					
35.	გიგო გაბაშვილის შემოქმედება					
36.	ოქროს ტალანტის 26 ქართველი მონაწილე					
37.	არაბულ სამყაროში არეულობა					
38.	ახალ ზელანდიაში მიწისძვრა					
39.	ტერაქტი ავღანეთში					
40.	პასექი იერუსალიმში					
41.	მერიამ ჰიმნის შექმნაზე კონკურსი გამოაცხადა					
42.	მამუკა ცეცხლაძის გამოფენა					
43.	ცხინვალში საპროტესტო აქციებია					

19 აპრილი

	გაშუქებული თემა	**მოამზე**	**კურიერი**	**ქრონიკა**	**დღეს**	**ახალი ამბები**
1.	ნარკოტიკები ინტერნეტით					
2.	დამნაშავეთა დაჯგუფებების დაკავება (მარგანეცი)					
3.	გაყალბებული ქართული ღვინო					
4.	ფიროსმანის ტილო					
5.	ნატო-ს მინისტერიალი და კლინტონის სიტყვა: არჩევნები, რეფორმები					
6.	არასამთავრობო ორგანიზაციები საარჩ. რეფორმაზე					
7.	საკ. სასამართლოს გადაწყ: რეაქციები					
8.	საჯარო სკოლები შეიძლება ფასიანი გახდეს					
9.	არასამთ. შეხვედრა გაჩეჩილაძე-გუნცაძესთან					
10.	კუკავა ბოკერია-ტყეშელაშვილის ჩამოშორებაზე					
11.	პრეზიდენტმა პარლამენტს რუს. სამხ. ტრანზ. შეჩერებაზე მიმართა					
12.	კინოს სახლში შეხვედრა ყარყარიშვილთან					
13.	დავითაია და ბაღათურია: ოკუპ. ტერ-ებზე ბიზნესი					
14.	ლეიბორისტების მიმართვა არიზონას სენატორს					
15.	თავის. დემოკრატების ლიდერი გორში					
16.	დევნილები გია ბარამიას წინააღმდეგ					
17.	ინციდენტი აეროპორტში: ბურჯანაძის ნათესავი					
18.	ქართ. პარტია ბურჯანაძეს მიმართავს					
19.	მერაბიშვილი-უტიაშვილი და შეს. საერთ. სკანდალი					
20.	ებრაელი ბიზნესმენების ოჯახების მიმართვა პრეზ.					
21.	გაზ. ალია და საპროცესო გარიგებები/ადეიშვილი-მერაბიშვილის მიერ ნაშოვნი მილიონები					
22.	ინგა გრიგოლიას კულუარული ინფორმაციები					
23.	სამაუწყებლო პრიორიტეტები					
24.	მუხიანი-2 მცხოვრებლების მოთხოვნა					
25.	ალასანია ოქრუაშვილის წინააღმდეგ					
26.	იგორ გიორგაძის ინტერვიუ					
27.	რას აპირებს მედვედევი					
28.	გილაურის ვიზიტი იტალიაში					
29.	ქართველი სამხედროები ავღანეთში/ნატო					
30.	დაპირისპირება ცხინვალში					
31.	აბიტურიენტები ინგლისურს ირჩევენ					
32.	ფუკუსიმას ტრაგედია					
33.	შეჩერებული მშენებლობების უსაფრთხოება					
34.	დასრულებული მშენებლობები/დექსუსი					
35.	ჭიათურის მღვიმის არქ. აღმოჩენები და ტურიზმი					

36.	ფუძნარის ტაძარი					
37.	ფ. კასტრომ თანამდებობა დატოვა					
38.	ვითარება ლიბიაში					
39.	ვითარება სირიაში					
40.	ავიაკატასტროფა ინდოეთში					
41.	მკვლელობა ისრაელში					
42.	კიევში ჩერნობილის კონფერენცია გაიმართა					
43.	შვიდი წლის წინ დაკარგული შვილის ულტიმატუმი					
44.	ფეხბურთის თასის ნახევარფინალი და განცხადებები					
45.	ლიბერთი ბანკის აქცია/სპორტი					
46.	ილია მეორეს ახალი ჰიმნი					
47.	პრემიერა რუსთაველის თეატრში					
48.	რუსუდან პირველის ფილმი					
49.	გიგო გაბაშვილის გამოფენა					
50.	ჰიტლერი-ბრაუნის სიყვარულის ახალი დეტალები					
51.	კივილი 4-ის პრემიერა					
52.	ეპატაჟური აქცია კიევში					
53.	ფორბსის მდიდრების სია/ივანიშვილი					

სამი დღის ანალიზი აჩვენებს, რომ თემატური დამთხვევები ყველა არხს შორის ეხებოდა ან მნიშვნელოვან კრიმინალს (ებრაელი ბიზნესმენების საქმე) ან ისეთ ნაციონალური მნიშვნელობის მოვლენას, როგორიც იყო ჰააგის სასამართლოში საქართველო-რუსეთის დავას.

ასევე, სამი არხი (საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2 და იმედი) ერთმანეთს ემთხვეოდა უფრო მეტად ისეთ თემებში როგორიცაა ხელისუფლების პოლიტიკა და კრიმინალი, ხოლო ორი არხი (მაესტრო, კავკასია) - ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის აქტივობები.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ სამი არხის (საზ. მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი) წამყვანი საინფორმაციო სამსახურების მიერ გაშუქებულ თემებში უფრო მეტია საერთო თემები, ვიდრე კავკასიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის წყვილის, ან თუნდაც კავკასიისა და მაესტროს წყვილის შემთხვევაში. ამასთან, მიუხედავას იმისა, რომ გასაანალიზებელი პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე დამთხვევა ნახევარს აღემატებოდა, დამთხვევების საშუალო მაჩვენებელი ამ სამი არხის შემთხვევაში 33 პროცენტს არ აჭარბებს. შედეგად, ეს მაჩვენებელი არ გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ ამ არხების საინფორმაციო გამოშვებები ერთმანეთის იდენტურია. იგივე ეხება მაესტროსა და კავკასიის საინფორმაციო გამოშვებებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს არხები უფრო მეტ ყურადღებას ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო სექტორის საქმიანობას უთმობენ, თემატურად მათი შეთავაზებებიც განსხვავებულია.